დანართი

ბრძანების თარიღი/ ნომერი	ძირითადი ასპექტები
2012 წლის 16 აგვისტო N192[1] (ძალადაკარგული)	- პროგრამის ფარგლებში ჩასატარებელი სასწავლო მოდულები განისაზღვრება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით; - თუ პირი სასერტიფიკატო გამოცდაში ვერ დააგროვებს ქულათა საკმარის რაოდენობას, მას პროგრამის გავლის უფლების გარეშე გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის უფლება ეძლევა მომდევნო სასწავლო პროგრამის სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარებისას; - სასერტიფიკატო გამოცდის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, პირს პროგრამის გავლის უფლების გარეშე გამოცდაზე მესამედ გასვლის უფლება ეძლევა მომდევნო სასწავლო პროგრამის სასერთიფიკატო გამოცდის ჩატარებისას; - სასერტიფიკატო გამოცდის მესამედ ჩაუბარებლობის შემთხვევაში, პირი გამოცდაზე დაიშვება მესამე გამოცდის ჩატარების თარიღიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, ახალი პროგრამის გავლის შემთხვევაში; შენიშვნა: - 22.08.12. N198 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა პროგრამის გავლის
	დამადასტრურებელი სერტიფიკატი (მასზე აღნიშნულია მისი ძალმოსილება 5 წლის ვადით).
2017 წლის 4 დეკემბერი 01-254[2] (ძალადაკარგული)	- სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია: ✓ როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში მაღალკვალიფიციურ საკონსულო თანამდებობის პირთა წარგზავნა; ✓ მონაწილე პირთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონის ამაღლება. - სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის მონაწილე პირთათვის შესაბამისი მასალების მიწოდებას; - სერტიფიკატი გაიცემა უვადოდ: ✓ იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატის მფლობელ პირს, სერტიფიკატის აღებიდან 3 წლის განმავლობაში შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის გზით უწყვეტად არანაკლებ 6 თვის განმავლობაში არ განუხორციელებია ,,საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი საკონსულო ფუნქციები, მისთვის გაცემული სერტიფიკატი უქმდება და საკონსულო თანამდებობის პირად მისი დანიშვნა შესაძლებელი გახდება მის მიერ სასერტიფიკატო გამოცდის ხელახლა წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში; ✓ იმ პირზე გაცემული სერტიფიკატი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას, მაგრამ რომლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საკონსულო ფუნქციების უკანასკნელად განხორციელებიდან გასულია 5 წელი, უქმდება და საკონსულო თანამდებობის პირად მისი დანიშვნა შესაძლებელი გახდება პირის მიერ სასერტიფიკატო გამოცდის ხელახლა წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

2018 წლის 20 ივლისი
01-174[3]
(მოქმედი)

- სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია:
  - ✓ როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში მაღალკვალიფიციურ საკონსულო თანამდებობის პირთა წარგზავნა[4];
  - ✓ მონაწილე პირთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონის ამაღლება.
- სასწავლო პროგრამის ჩატარების ხელშეწყობის მიზნით სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის მონაწილე პირთათვის შესაბამისი მასალებისმიწოდებას;
- სერტიფიკატი გაიცემა უვადოდ. სერტიფიკატი უქმდება და საკონსულო თანამდებობის პირად დანიშვნა შესაძლებელი გახდება პირის მიერ სასერტიფიკატო გამოცდის ხელახლა წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, თუ
  - ✓ სერტიფიკატის მფლობელ პირს, სერტიფიკატის მიღებიდან 3 წლის განმავლობაში შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის გზით უწყვეტად არანაკლებ 6 თვის განმავლობაში არ განუხორციელებია „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი საკონსულო ფუნქციები;
  - ✓ დიპლომატიური თანამდებობის პირს, რომელიც ფლობს სერტიფიკატს, მისი მიღებიდან 3 წლის განმავლობაში არ აქვს სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში უწყვეტი 6-თვიანი მუშაობის გამოცდილება.



ჯერ კიდევ 2012 წლის აგვისტომდე სერტიფიკატის მფლობელი პირი უკვე იყო 47 პირი. ამასთან, 2017 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა მინისტრის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმად, ხსენებული გრძანების ამოქმედებამდე გაცემული, მათ შორის, „საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს №192 გრძანების ამოქმედებამდე გაცემული, საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები ჩაითვალოს უვადოდ გაცემულად. შესაძლოა სადაოა 2017 წლის 4 დეკემბრამდე ძალმოსილება დაკარგული (5 წლის ვადის გასვლის შედეგად) სერტიფიკატების ქმედითობის საკითხიც.